საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბაშიძე ზურაბ ირაკლის ძე

ზ. აბაშიძე

აბაშიძე ზურაბ ირაკლის ძე (დ. 11. VI. 1951, თბილისი), დიპლომატი, პოლიტიკურ მეცნ. დოქტორი (2001), თსუ-ის პროფესორი (2014-იდან). 1973 დაამთავრა მოსკ. მ. ტორეზის სახ. უცხო ენათა ინ-ტი (ესპ. და ინგლ. ენების განხრით). 1978–80 იყო სსრკ-ის გენ. საკონსულოს ატაშე ბომბეიში (ინდოეთი); 1984–88 – სსრკ საელჩოს მრჩეველი ესპანეთში; 1988–92 – უცხოეთის ქვეყნებთან საქართველოს კულტ. და მეგობრული ურთიერთობის საზ-ბის პრეზიდიუმის თავ-რე. ინდოეთში მუშაობისას მიაკვლია ქეთევან დედოფლის საფლავის ადგილმდებარეობას გოაში, და-გრასას მონასტერში.

საქართვ. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იყო ქვეყნის პირველი ელჩი ევროპაში: საქართვ. დიპლ. მისიების ხელმძღვანელი ევროკავშირსა (1993-1998) და ნატოში (1993-2000); 1993–2000 – საქართვ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბენილუქსის ქვეყნებში; 2000 – საქართვ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; 2000–04 – საქართვ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუს. ფედერაციაში. 2001 დაიცვა დისერტაცია პოლიტიკურ მეცნ. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „საქართველო-ნატოს ურთიერთობები“; 2006-იდან არის ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახ. მთ. სამეცნ. რედაქციის მთ. რედაქტორი; 2012-იდან – საქართვ. პრემიერ-მინისტრის სპეც. წარმომადგენელი რუს. ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში. 2022-იდან არის ევროპის ენციკლოპედიათა გაერთიანების (EEN) გამგეობის წევრი; 2022 - 26 იყო ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტის აკადემიური საბჭოს წევრი; 2022-იდან საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის პრეზიდიუმის წევრია.

2024 მიენიჭა მ. მუსხელიშვილის სახელობის პრემია წიგნისათვის "ცივი ომი: მოგზაურობა დღევანდელ წარსულში" (2021).

არის თბილისისა (2025) და ხონის (2026) საპატიო მოქალაქე.

თხზ.: ნატო და საქართველო: უტოპიიდან რეალობისაკენ, თბ., 2000; ცივი ომი: წარსული თუ დღევანდელობა?, თბ., 2009; დანგრეული კედლის ჩრდილში: 1990–1999, თბ., 2012.